

## ბარიერების ტიპები დისტანციური სწავლების კონტექსტში (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კურსების მაგალითზე)

თარხნიშვილი ნინო

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ი. ჭავჭავაძის გამზირი #1, თბილისი, საქართველო 0179

ელექტრონული სწავლება ფართო ცნებაა. იგი განსაზღვრავს ისეთ სასწავლო გარემოს, რომელშიც სწავლება ხორციელდება ინტერნეტისა და სხვადასხვა ტექნოლოგიების, ასევე არსებული მედია საშუალებების გამოყენებით. ტერმინი, ელექტრონული სწავლება დამკვიდრდა 1999წ.[1]<sup>1</sup>, როდესაც ის პირველად გამოიყენეს ლოს ანჟელესში გამართულ სემინარზე, თუმცა თვითონ სწავლების ეს ფორმა შეიძლება ითქვას კომპიუტერის გაჩენასთან ერთად წარმოიქმნა. რაც შეეხება დისტანციურ სწავლებას, იგი განსაზღვრავს ისეთ სასწავლო გარემოს, რომელიც მოშორებულია ტრადიციულ საკლასო ოთახისგან და ინფორმაციის გამცემსა და მიმღებს შორის გარკვეული დისტანციაა. დისტანციური სწავლება, როგორც სწავლების ერთერთი მეთოდი საფუძველს იღებს კომპიუტერის შექმნამდე გაცილებით უფრო ადრე - 1840წ., როდესაც კერძო სკოლის მასწავლებელმა ისააკ პიტმანმა დაიწყო ელექტრონული ფოსტის გამოყენება სტენოგრაფიის სწავლებისას. იგი თავის მოსწავლეებს უგზავნიდა დავალებებსა და სხვადასხვა მასალებს, რაც მოსწავლეებს სჭირდებოდათ საგნის მოსამზადებლად. შემდეგ მოსწავლეები ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით უბრუნებდნენ მას შესრულებულ დავალებებს ან საჭიროების შემთხვევაში უგზავნიდნენ შეკითხვებს. ამ მეთოდმა სწრაფად მოიკიდა ფეხი და მნიშვნელოვნად განვითარდა იმ დროიდან მოყოლებული დღემდე. დღესდღეობით ეს ორი ტერმინი - ელექტრონული და დისტანციური სწავლება ერთმანეთის სინონიმებადაც გამოიყენება.

გამომდინარე იქიდან, რომ დისტანციური სწავლება სწავლების საკმაოდ მოსახერხებელი ფორმაა, მას ბევრი მიმდევარი და მხარდამჭერი ჰყავს. თავდაპირველად იგი მხოლოდ ინფორმაციის გადასაცემად გამოიყენებოდა მოგვიანებით კი წარმატებით დაინერგა მსოფლიოს ბევრ უნივერსიტეტში ისევე, როგორც სხვადასხვა კომპანიაში თანამშრომლების პროფესიული განვითარებისათვის. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევაში მას მაინც ეჭვის თვალით უყურებენ და ტრადიციულ სწავლების მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას. ასეთ შეხედულებას თავისთავად გააჩნია თავისი არგუმენტები, და ვფიქრობ ბუნებრივია, რომ სწავლების ახალ ფორმას ახალ შესაძლებლობებთან ერთად ახალ გამოწვევებიც ახლავს თან. წინამდებარე სტატიაში განვიხილავ იმ ბარიერებს, რომელთა გადალახვაც შესაძლოა მოუწიოთ შემსწავლელებს ელექტრონული სწავლებისას. ამ საკითხის შესასწავლად გამოვიყენე დაკვირვების მეთოდი - ერთი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ელექტრონული კურსის მიმდინარეობასა

<sup>1</sup> Anderson, T. 'The Thoery and Practice of Online Learning', 2011

და მის მონაწილეებს. კურსი განკუთვნილი იყო ინგლისური ენის მასწავლებლეთათვის, რომელთა ასაკი 25წ–დან 60წ–მდე მერყეობდა. ჩემს მიზანს წარმოადგენდა მენახა თუ რა სახის ბარიერები ექმნებათ ზრდსრულ შემსწავლელებს ელექტრონული სწავლების პროცესში უფრო ხშირად და რა საშუალებები არსებობს მათ გადასალახად ან თავიდან ასაცილებლად.

ვფიქრობ საინტერესოა ამ საკითხთან მიმართებაში არსებული კვლევებისა და მოსაზრებების მიმოხილვა. ყველა მკვლევარი, რომელთა ნაშრომებსაც მქონდა შესაძლებლობა გავცნობოდი, თანხმდება, რომ ელექტრონული სწავლებისას შესაძლო ბარიერების აღმოჩენა და შესწავლა უდაოდ მნიშვნელოვანია, რადგან 'ეს დიდწილად განსაზღვრავს სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელებას, სწავლების ეფექტურობასა და იმას თუ რამდენად სწორი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდებათ შემსწავლელებს ელექტრონული სწავლების მიმართ'. [2]<sup>1</sup> ერთერთი პირველი, ვინც ყურადღება დაუთმო აღნიშნულ საკითხს იყო გარლანდი, რომელიც თავის კვლევაში საუბრობს 'შემსწავლელის დამოკიდებულებაზე სიტუაციურ, ინსტიტუციურ, მზაობისა და ეპისტემოლოგიური ბარიერების მიმართ'. [3]<sup>2</sup> იგი განიხილავს თუ რამდენად ხელის შემშლელია არსებული კონტექსტი, სასწავლო გარემო და პროგრამის შინაარსი, რამდენად არის შემსწავლელი მზად კონკრეტული პროგრამის ელექტრონული მეთოდის გამოყენებით გასავლელად და აქვს თუ არა მას შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ვფიქრობ იმ პერიოდისთვის, როდესაც ელექტრონული სწავლების მეთოდი ჯერ კიდევ არ იყო კარგად შესწავლილი, გარლანდის მიერ შემოთავაზებული ბარიერები სწორედ იყო დანახული და შერჩეული. ისინი მოგვიანებით უფრო დეტალურად იქნა შესწავლილი სხვა მკვლევარების მიერ. მათ შორისაა, შილკე, რომელმაც 2001წ. გარლანდის ბარიერების ჩამონათვალს დაუმატა ტექნიკური ფაქტორი, რაც დღესდღობით ერთერთ ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად გვხვდება ბევრ სხვა კვლევაშიც.

რიგი ბარიერებისა, რაც დისტანციური სწავლების მეთოდის გამოყენებისას შემსწავლელებს ხვდებათ ხშირ შემთხვევაში მეორდება სხვადასხვა კვლევებში. ამჯერად გამოვიყოფ ოთხ მათგანს და განვიხილავ ბერგის მიერ განსაზღვრული იმ ოთხი როლის მიხედვით, რომლებსაც ელექტრონული პროგრამის ინსტრუქტორი ასრულებს – [4]<sup>3</sup> ტექნიკური, სოციალური, მენეჯერული და პედაგოგიური. ბერგი აღნიშნავს, რომ 'ისინი ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული და ხშირ შემთხვევაში ერთი მეორისაგან განყენებულად არ არსებობს'. [5]<sup>4</sup>

განვიხილოთ ტექნიკური ფაქტორი, ე.ი. ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენება, რაც, როგორც აღმოჩნდა, ბევრი შემსწავლელისათვის არის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ბარიერი განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათ პირველად უწევთ

<sup>1</sup> Lin Y. Muilenburg and Berge Z.L., 'Student Barriers to Online Learning: A factor analytic study'. 2005

<sup>2</sup> Garland, M. Student perceptions of the situational, institutional, dispositional, and epistemological barriers to persistence. Distance Education, 14(2), p.181–198, 1993

<sup>3</sup> Berge, Z.L. Ph.D. 'The Role of the Online Instructor/Facilitator.' Educational Technology. 35(1) 22-30, 1995

<sup>4</sup> Berge, Z.L. Ph.D. 'The Role of the Online Instructor/Facilitator.' Educational Technology. 35(1) 22-30, 1995

დისტანციური სწავლების მეთოდით სარგებლობა. მსგავსი გამცოდილებისა და შესაბამისი საჭირო უნარ-ჩვევების არქონის გამო შემსწავლელებს უჩნდებათ შიშის განცდა სიახლის მიმართ, რასაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიები. ჯეფ სპედინგის თანახმად, 'სწავლების ბუნებრივი და თანმიმდევრული პროცესი შეიძლება შეაფერხოს ტექნიკურმა პრობლემამ, რისთვისაც ყოველთვის მზად უნდა იყოს პროგრამის ინსტრუქტორი და რეაგირება მოახდინოს კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.'<sup>[6]</sup><sup>1</sup> ტექნიკური ფაქტორისადმი ასეთი მნიშვნელობის მინიჭება ვფიქრობ გასაკვირი არ არის დისტანციური სწავლების მეთოდის სპეციფიკიდან გამომდინარე. განსაკუთრებით ეს უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული აღნიშნული მეთოდის განვითარების საწყის ეტაპებზე. ტექნიკურ ფაქტორს ერთერთ ძირითად ბარიერად მიიჩნევენ ნორიკო ჰარა და რობ კლინგიც,<sup>[7]</sup><sup>2</sup> რომლებიც ასევე გამოჰყოფენ მყისიერი უკუკავშირის სიმწირესა და არასაკმარისად გასაგებ ინსტრუქციებს.

ჩემი, როგორც ელექტრონული კურსის ინსტრუქტორის დაკვირვებიდან გამომდინარე, ტექნიკური ბარიერის გადალახვა შესაძლებელია ისეთი საშუალებების გამოყენებით, როგორებიცაა ვიდეო ტრენინგები და სინქრონული ინტერაქცია, რაც ბოლო დროს უფრო მეტად გახდა შესაძლებელი, და ვფიქრობ განსაკუთრებით ეფექტურია სწავლების საწყის ეტაპზე. ასეთი სახის ინტერაქცია სწორ წარმოდგენას უქმნის შემსწავლელს ელექტრონულ სწავლებაზე და შესაბამისად განაწყობს მას სწავლების პროცესისადმი. ტექნიკური ბარიერის უგულვებელჰყოფამ შესაძლოა სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს და ზოგიერთ შემთხვევაში შემსწავლელი აიძულოს შეწყვიტოს სწავლა. შეიძლება ითქვას, რომ ამის რისკი განსაკუთრებით მაღალია ზრდასრულთა განათლების შემთხვევაში, რადგან ისინი განსაკუთრებით მწვავედ აღიქვამენ და რთულად ეგუებიან სიახლეებს.

სოციალური ბარიერი ძირითადად გულისხმობს სოციალური ურთიერთობების ნაკლებობას როგორც სხვადასხვა შემსწავლელებს შორის ასევე პროგრამის ინსტრუქტორთან. სოციალური ფაქტორი მჭიდრო კავშირშია იმასთან, თუ რამდენად სასიამოვნო და კომფორტულია შემსწავლელისათვის ელექტრონული სწავლების პროცესი და ამ მხრივ რამდენად მოსახერხებელი გარემოა შექმნილი სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვისათვის. სოციალურ ფაქტორს ერთერთ მთავარ ბარიერად ასახელებენ რორკე და კანუკა. ისინი აღნიშნავენ, რომ 'იმ შემთხვევაში თუ სწორედ არ იქნა შერჩეული მიმართვის ფორმა შემსწავლელმა შესაძლოა არასწორედ გაიგოს ნათქვამი, გული აუცრუვდეს და მიატოვოს სწავლის პროცესი. კიდევ უფრო საფრთხილოა შენიშვნის მიცემის ან შეცდომის გასწორების შემთხვევა, რაც შესაძლოა შემსწავლელმა მიიღოს პირად კრიტიკად და მასზე თავდასხმად.'<sup>[8]</sup><sup>3</sup> ზეინისა და ბერგის განმარტებით, სოციალური ფაქტორი გულისხმობს 'შემსწავლელებსა და

<sup>1</sup> Spedding G. 'Impact and Challenges of E-Learning.' Supporting E-Learning in Higher Education. Vol 3. 2003

<sup>2</sup> Hara, N., & Kling, R. 'A case study of students' frustrations with a Web-based distance education course.' 4(12) 1999

<sup>3</sup> Rourke, L. & Kanuka, H. 'Barriers to Online Critical Discourse.' International Journal of Computer-Supported Collaborative Learning, 2(1), 105-126. 2007

პროგრამის ინსტრუქტორს შორის პოზიტიურ ურთიერთობას და აკადემიური პროცესის წარმართვისათვის საჭირო პირობების არსებობას.<sup>[9]</sup><sup>1</sup> თავის წიგნში, სოციალურ ფაქტორს ორ სხვადასხვა ბარიერად ჰყოფენ ისკანდერი, კაპილა და კარიმი: 1. კომუნიკაცია ინსტრუქტორთან და 2. კომუნიკაცია სხვა შემსწავლელებთან.<sup>[10]</sup><sup>2</sup> ორივე მათგანი სოციალური ფაქტორის მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს და, ნათელია, რომ წიგნის ავტორების მხრიდან მისი უფრო დეტალურად განხილვისა და გაანალიზების მიზეზი აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობაზე მიანიშნებს.

ჩემს მიერ ჩატარებული დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სწავლების საწყის ეტაპზე შემსწავლელებისადმი სწორი დამოკიდებულება და სწავლისათვის ხელის შესაწყობად მოსახერხებელი გარემოს შექმნა გადამწყვეტია დისტანციური სწავლების წარმატებით განხორციელებისათვის. ერთერთ მნიშვნელოვან ფუნქციად ვფიქრობ უნდა გამოვყოთ შექება, რაც ჩემი დაკვირვებით ძალიან დადებით რეაქციას იწვევს და შემსწავლელებს ბარიერების გადალახვაში ეხმარება. ჩემი აზრით, შექება შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალურ ფაქტორებს და მივიჩნიოთ ინსტრუქტორის ერთერთ იარაღად სწავლების ხელშესაწყობად და შემსწავლელებში მოტივაციისა და თავდაჯერებულობის ასამაღლებლად. ზემოაღნიშნული მაგალითების გარდა, ვფიქრობ სოციალურ ასპექტში უნდა გაერთიანდეს რელიგიური და კულტურული ფაქტორები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ პოტენციურ ბარიერებად. ბუნებრივია დიდი ალბათობაა იმისა, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს არაერთგვაროვანი რეაქცია ჰქონდეთ ამა თუ იმ საკითხთან ან საკციელთან მიმართებაში. გაცილებით უფრო დიდია რისკი, როდესაც საქმე ეხება რელიგიურ განსხვავებას. ამას ემატება ისიც, რომ შემსწავლელებმა შესაძლოა არასწორად გაიგონ ერთმანეთის ნათქვამი ან ქმედება, რისი ალბათობაც ცხადია უფრო მაღალია დისტანციური სწავლების დროს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჩემს მიერ შესწავლილი კურსის დროს მომხდარი შემთხვევა, როდესაც ერთმა მონაწილემ ყველას მიულოცა რელიგიური დღესასწაული, რაზეც სხვა რელიგიის წარმომადგენელს საკმაოდ აგრესიული რეაქცია ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ცხადია აუცილებელია, რომ სხვადასხვა კულტურული და რელიგიური წარმომავლობის მქონე შემსწავლელებთან პროგრამის ინსტრუქტორმა გაითვალისწინოს არსებული განსხვავებები და კონფლიქტის საშიშროების შემთხვევაში შეძლოს სიტუაციის მყისიერი განეიტრალება. ეს შესაძლოა გულისხმობდეს არსებული კულტურების წინასწარ გაცნობასა და შესწავლასაც.

ზემოაღნიშნულ ნაშრომში, ბერგი ასახელებს დისტანციური კურსის ინსტრუქტორის კიდევ ერთ როლს, მენეჯერულ საქმიანობას. სიტყვიდან გამომდინარე ნათელია, რომ ეს გულისხმობს ორგანიზატორულ და ადმინისტრაციულ საქმიანობას. უფრო კონკრეტულად მენეჯერული კომპონენტი გულისხმობს კურსის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას, განრიგის შედგენასა და მისი შემსწავლელებისათვის დროულად მიწოდებას. მის სხვა კვლევაში ბერგი მენეჯერულ ფაქტორს უწოდებს

<sup>1</sup> Lin Y. Muilenburg and Berge Z.L., 'Student Barriers to Online Learning: A factor analytic study', 2005

<sup>2</sup> Iskander M., Kapila V. and Karim M.A. 'Technological Developments in Education and Automation.' p.109. 2010

ადმინისტრაციულ ბარიერს და მას პირველ ადგილს მიაკუთვნებს ბარიერების ჩამონათვალში.[11]<sup>1</sup> აღნიშნული ბარიერი შესაძლოა წარმოიქმნას იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს დროულად არ მიეწოდებათ სასწავლო მასალა და განრიგი და დროულად არ მიიღებენ სათანადო უკუკავშირს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ცალკე ბარიერად არის დასახელებული ჰარასა და კლინგის ნაშრომში. 'პროგრამის ინსტრუქტორის მხრიდან უკუკავშირის უგულვებელყოფა ან მისი არასაკმარისი დოზით მიწოდება უდაოდ ერთერთი მთავარი მიზეზი იყო, რამაც შემსწავლელელებში იმედგაცრუება გამოიწვია, რადგან ისინი ბუნებრივია ნერვიულობდნენ იმაზე, თუ როგორ შეასრულეს დავალება და რა შეფასება მიიღეს.'[12]<sup>2</sup> ამავდროულად ეს ქმნის იმის დიდ ალბათობასაც, რომ შემსწავლელს ჩამოუყალიბდეს უარყოფითი დამოკიდებულება ელექტრონული სწავლების მიმართ და მომავალში აღარ მიმართოს სწავლების ამ მეთოდს. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ადმინისტრაციული საკითხები სამართლიანად არის მიჩნეული ერთერთ სერიოზულ ბარიერად დისტანციური სწავლების პროცესში.

ჩემი დაკვირვებიდანაც გამომჩნდა, რომ ადმინისტრაციული ბარიერის წარმოქმნის რისკი საკმაოდ მაღალია ზრდასრულთა დისტანციურ სწავლებაში და მისი თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია პროგრამის ინსტრუქტორმა რაც შეიძლება ნათლად და დროულად მიაწოდოს შემსწავლელებს საჭირო ინფორმაცია. ასევე, ვფიქრობ მნიშვნელოვანია ისიც თუ რამდენად სწორედ არის დაგეგმილი სასწავლო პროცესი რათა კურსის მონაწილეები არ გადაიტვირთონ ზედმეტი მასალითა და ინფორმაციით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმაციის რეგულარულად შეხსენებაც. ყოველივე ეს დაეხმარება შემსწავლელს ადვილად აუღოს ალღო მისთვის ახალ სასწავლო გარემოს და შემდგომში თავად მოახდინოს დროისა და შესასწავლი მასალის უკეთ დაგეგმვა და ორგანიზება. როგორც წესი, შემსწავლელელები ასეთ ყურადღებას ძალიან დადებითად ხვდებიან და მაღლიერების გრძნობით განეწყობიან პროგრამის ინსტრუქტორის მიმართ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და, შესაბამისად, სხვა – სოციალური ბარიერის წარმატებით გადალახვასაც.

რაც შეეხება დისტანციური კურსის ინსტრუქტორის მეოთხე პედაგოგიურ როლს, იგი გულისხმობს სასწავლო პროგრამის შინაარსსა და დავალებაზე ორიენტირებულ საკითხებს. ბარიერების ნუსხაში მას შეესაბამება აკადემიური უნარ-ჩვევები, რომელიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში როდესაც შემსწავლელს არ აქვს საკმარისი აკადემიური ცოდნა კონკრეტულ სფეროში. მდგომარეობა შეიძლება გართულდეს იმ შემთხვევაში, თუ ამის გამო შემსწავლელი კარგავს თავდაჯერებულობას და ხდება პასიური. სხვებისაგან განსხვავებით, ამ ბარიერის თავიდან არიდება შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ინსტრუქტორზე, თუმცა ცხადია გარკვეული პასუხიმგებლობა მასაც ეკისრება. აღნიშნული ბარიერის გადალახვა საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს

<sup>1</sup> Lin Y. Muilenburg and Berge Z.L., 'Student Barriers to Online Learning: A factor analytic study', 2005

<sup>2</sup> Hara, N., & Kling, R. 'A case study of students' frustrations with a Web-based distance education course.' 4(12), 1999

შემსწავლელის მხრიდან. აკადემიური უნარ-ჩვევა არის ერთგვარი პრერეკვიზიტი, რომელიც შემსწავლელს ან გააჩნია ან არა, და ამ უკანასკნელი შემსთხვევის დროს იგი იღებს ამ სირთულის გადალახვის პასუხისმგებლობას. მეორეს მხრივ აღნიშნული გამოწვევა შემსწავლელისათვის შესაძლოა გახდეს მოტივაციის წყარო, რომელიც მას დაეხმარება წარმატების მიღწევაში, რადგან აკადემიური ასპექტი წარმოადგენს კურსის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს შემსწავლელის წარმატებასა თუ წარუმატებლობას. ამიტომ ბუნებრივია შემსწავლელი მაქსიმალურად იქნება მობილიზებული, რომ გადალახოს ეს ბარიერი და მიიღოს შესაბამისი კვალიფიკაცია.

ვფიქრობ აკადემიური უნარ-ჩვევებისა თუ ცოდნის ნაკლებობა განსაკუთრებით ყურადსაღებია ზრდასრულთა განათლების შემთხვევაში, რადგან ამ პრობლემამ შეიძლება გამოიწვიოს შემსწავლელის მხრიდან პასიურობა და საბოლოოდ კურსის მიტოვებაც კი. რამდენიმე მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ჩემს მიერ შესწავლილი დისტანციური კურსების მსვლელობის დროსაც. აქედან გამომდინარე ცხადია მნიშვნელოვანია ინსტრუქტორმა გამოიჩინოს ობიექტურობა და ემფატია და მისცეს შემსწავლელს შესაბამისი რჩევა თუ მიმართულება. ასევე სათანადოდ უნდა იყოს შერჩეული პროგრამის სირთულის ხარისხიც.

განხილული ოთხი ბარიერი, კვლევების უმეტეს ნაწილში მოხსენიებულია ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორებად, რომლებმაც შესაძლოა სერიოზული სირთულეები შეუქმნას დისტანციური კურსის მონაწილეს. მკვლევარები ძირითადად თანხმდებიან, რომ ამ ოთხ ბარიერთაგან ნებისმიერი შეიძლება გახდეს სასწავლო პროცესის შეფერხების მიზეზი. ზოგიერთ შემთხვევაში მკვლევარი მათ უფრო დეტალურად განიხილავს და მცირე ერთეულებად შლის. მაგალითად, კრისტოფერ პრიჩეტი თანაავტორებთან ერთად ცალკე გამოჰყოფს დროის ნაკლებობის ფაქტორს და არ აერთიანებს მას ადმინისტრაციულ ასპექტთან. იგივეს ვხვდებით ანდერსონის ნაშრომში, სადაც ავტორი ასახელებს დროის ნაკლებობას, როგორც 'ერთერთ სერიოზულ შემაფერხებელ დაბრკოლებას, რომელიც სტუდენტებში იწვევს სტრესს და ხელს უშლის პროგრამის აკადემიურ ნაწილზე კონცენტრაციაში.'<sup>[14]</sup> <sup>1</sup> ჩემი აზრით, ეს ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია დროის არასწორი გადანაწილებით, რაც შემსწავლელის მხრიდან ელექტრონული სწავლების მიმართ არასწორი მოლოდინიდან გამომდინარეობს.

გარდა ზემოაღნიშნული ოთხი ძირითადი ბარიერისა, ზოგიერთი მკვლევარი ასევე გამოჰყოფს ისეთ ბარიერებს, როგორებიცაა: ბუნდოვანი ინსტრუქციები, ზედმეტად რთული დავალებები (განსაკუთრებით სწავლების პროცესის დასაწყისში), მხოლოდ ასინქრონიული კომუნიკაციით შემოფარგვლა, არასაკმარისი დახმარება ინსტრუქტორის მხრიდან, შემსწავლელის დიდი რაოდენობა და სხვ.

<sup>1</sup> Anderson, T. 'The Thoery and Practice of Online Learning.' 2011.

როგორც ავლნიშნე, ის ოთხი ძირითადი ბარიერი (ტექნიკური, სოციალური, ადმინისტრაციული, აკადემიური), რომელზეც მკვლევართა უმეტესობა საუბრობს, ჩემს მიერ ჩატარებული დაკვირვების შედეგადაც გამოიკვეთა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემხვდა რამდენიმე ისეთი ბარიერიც, რომელიც იშვიათად ან საერთოდ არ არის ნახსენები ჩემს მიერ განხილულ კვლევებში. ესენია: დროის სიმცირე, თავდაჯერებულობის დაბალი ხარისხი, ცუდი წვდომა ინტერნეტთან. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. დროის სიმცირის ბარიერი უკავშირდება კურსის მონაწილეების არასწორ მოლოდინს. როგორც აღმოჩნდა, ისინი დისტანციური სწავლების მეთოდის დროში მოქნილობას, როგორც ერთერთ დადებით მხარეს, გადამეტებით აფასებენ და, შესაბამისად, შემდეგ აწყდებიან აღნიშნულ პრობლემას. სამწუხაროდ არის შემთხვევები, როდესაც ამ მიზეზით შემსწავლელებს სასწავლო პროცესის მიტოვება უწევთ. ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტურია ინსტრუქტორის მხრიდან სასწავლო პროცესის დასაწყისიდანვე შემსწავლელების სათანადოდ ინფორმირება და შემზადება. ასევე, სასურველია მან ხშირად შეახსენოს მნიშვნელოვანი თარიღები, რათა შემსწავლელებს საკმარისი დრო ჰქონდეთ დავალებების შესასრულებლად.

2. თავდაჯერებულობის დაბალი ხარისხი ჩანს შემსწავლელების სხვადასხვა ქმედებაში. ისინი გარკვეული პერიოდის მანძილზე ფარულად ათვალთქვამენ პროგრამის შინაარსს, ცდილობენ თავი გაართვან დავალებებს, თუმცა საჯაროდ არ გამოთქვამენ თავის შეხედულებას, არ იღებენ მონაწილეობას დისკუსიებში და საჭიროების შემთხვევაში არ ითხოვენ დახმარებას. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაჯერებულობის დაბალი ხარისხი ჩემს მიერ განხილულ არც ერთ ნაშრომში არ არის ნახსენები, როგორც ერთერთი ბარიერი, თუმცა მისი სიხშირიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და მოიძებნოს ამ ბარიერის გადალახვის გზები. ჩემი აზრით ასეთ შემთხვევაში აუცილებელი მეტი აქტიურობა ინსტრუქტორის მხრიდან. შემსწავლელებთან ინდივიდუალურმა მიმოწერამ და დახმარების შეთავაზებამ უნდა გაუადვილოს მათ აღნიშნული დაბრკოლების დაძლევა. როგორც აღმოჩნდა, თავდაჯერებულობის დაბალი ხარისხი დისტანციური სწავლების დროს უფრო მეტად არის დამახასიათებელი ზრდასრული შემსწავლელებისათვის, რისი მიზეზიც ვფიქრობ არის ის ფაქტი, რომ მათი აზრით სტუდენტებისაგან განსხვავებით მათდამი მოლოდინი უფრო დიდია. შესაბამისად ისინი უფრო მეტად უფროსიან შეცდომის დაშვებას.

3. ინტერნეტთან ცუდი წვდომა – სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში ეს ფაქტორი აღმოჩნდა შემსწავლელების დემოტივაციის მიზეზი, რამაც ბუნებრივია უარყოფითი შედეგი იქონია სასწავლო პროცესზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორი ნაკლებად არის დამოკიდებული უშუალოდ ინსტრუქტორზე ან შემსწავლელზე, დისტანციური სწავლების პროცესის დროს სასურველია დაიგეგმოს თუ რა გამოსავალი შეიძლება არსებობდეს აღნიშნული ბარიერის გაჩენის შემთხვევაში და რა შეიძლება მოიმოქმედოს ინსტრუქტორმა იმისათვის, რომ არ შეფერხდეს სასწავლო პროცესი. დაკვირვების

საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოქნილი ვადები და კურსის ადმინისტრაციის მაქსიმალური ჩართულობა და მზაობა მნიშვნელოვანია ამ სირთულის გადასაღებად.

### დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რიგი დადებითი მახასიათებლების მიუხედავად, რის გამოც ბევრი შემსწავლელი იყენებს სწავლების ამ მეთოდს, დისტანციური სწავლების პროცესს შესაძლოა თან ახლდეს გარკვეული სირთულები, რომლებიც ბარიერს უქმნიან შემსწავლელს. განხილული კვლევების, ისევე როგორც ჩემს მიერ ჩატარებული დაკვირვების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული სწავლებისას ყველაზე ხშირად გვხვდება ოთხი ძირითადი ბარიერი: ტექნიკური, სოციალური, ადმინისტრაციული, აკადემიური, რომელთა აღბათობის ხარისხი გაცილებით უფრო მაღალია ვიდრე სხვა შესაძლო ბარიერების. გარდა ამისა, ჩემს მიერ ჩატარებული დაკვირვების შედეგად დამატებით გამოიკვეთა შემდეგი ბარიერები: დროის სიმცირე, თავდაჯერებულობის დაბალი ხარისხი და ინტერნეტთან ცუდი წვდომა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ელექტრონული სწავლების პროცესში არსებული ბარიერები არ წარმოადგენენ ცალკეულ, ერთმანეთისაგან განყენებულ ერთეულებს და ხშირ შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანის მახასიათებლები და გადალახვის გზები ერთმანეთს ემთხვევა.

განხილული ნაშრომებისა და საკუთარი დაკვირვების საფუძველზე შეიძლება რეკომენდაციის სახით ითქვას, რომ ზრდასრულთა დისტანციური სწავლების პროცესში შესაძლო ბარიერების თავიდან ასარიდებლად, ისევე როგორც მათი გადალახვის მზაობისათვის აუცილებელია სწავლების პროცესის წინა ეტაპზე როგორც ინსტრუქტორის, ასევე მონაწილეების სათანადო მომზადება და ინფორმირება. ასევე, მნიშვნელოვანია კონკრეტული შემსწავლელისადმი ინდივიდუალური მიდგომა და მყისიერი მოქმედება.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ უფრო სიღრმისეული კვლევისათვის აუცილებელია მოხდეს შემსწავლელთა დაჯგუფება სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით და ბარიერების მათთან მიმართებაში განხილვა.

### ბიბლიოგრაფია:

- [1] [14] Anderson, T. The Thoery and Practice of Online Learning. 2011.  
 [2] [9] [11] Lin Y. Muilenburg and Berge Z.L., ‘Student Barriers to Online Learning: A factor analytic study’, 2005  
 [3] Garland, M. Student perceptions of the situational, institutional, dispositional, and epistemological barriers to persistence. Distance Education, 14(2), p.181–198. 1993.  
 [4] [5] Berge, Z.L. Ph.D. The Role of the Online Instructor/Facilitator. A modified draft of this article appears as: Berge, Z.L. Facilitating Computer Conferencing: Recommendations From the Field. Educational Technology. 35(1) 22-30. 1995. [berge@umbc.edu](mailto:berge@umbc.edu)



- [6] Spedding G. Impact and Challenges of E-Learning. Supporting E-Learning in Higher Education. Vol 3. 2003
- [7] [12] Hara, N., & Kling, R. A case study of students' frustrations with a Web-based distance education course. *First Monday*, 4(12), 1999
- [8] Rourke, L. & Kanuka, H. Barriers to Online Critical Discourse. *International Journal of Computer-Supported Collaborative Learning*, 2(1), 105-126. 2007
- [10] Iskander M., Kapila V. and Karim M.A. Technological Developments in Education and Automation. p.109. 2010
- [15] Johnstone S.M. and B. Krauth, 1996. "Balancing quality and access: Some principles of good practice for the virtual university", *Change*, Volume 28 number 2. pp 38-41.
- [16] Pritchett C.G., Pritchett C.C., Wohleb E.C. Usage, Barriers, and Training of Web 2.0 Technology Applications. *SRATE Journal* Volume 22, Number 2, 2013 ISSN 1068-1752
- [17] British Council Online Teacher Training Courses. TKT Modules 2&3, 2014

---

**Article received: 2015-06-06**